ახალგაზრდა კომუნისტი

საქართველოს ალკაჲ ᲨᲔᲜᲒᲠᲐᲚᲘᲡ კომკავშირის ორგანო

„ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲚᲙᲡᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

გამოიცემა 31-ᲯᲔ ᲬᲚᲘᲡ

№ 26 (6140)
ᲛᲐᲠᲢᲘ
24
1966 Წ.

ფასი 10 კაპ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

სახელგამმა ქართულ ენაზე ცალკე ბროშურებად გამოუშვა აბხაზეთის მ. გ. პერვუხინის, მ. ზ. საბუროვის, მ. ა. სუსლოვის, ნ. მ. შვერნიკის, ნ. ა. ბელიაევის, დ. ტ. შეპილოვის სიტყვები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე.

პარტიის XX ყრილობის მასალები ბროშურებად გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).



„ᲚᲔᲜᲐ“ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

დიზელ-ელექტრომავალმა „ლენამ“ — ერთადერთმა გემმა, რომელიც ანტარქტიდაში იყო დარჩენილი ანტარქტიკის შემოდგომის დღეებში, „პრავდის“ ნაპირი დატოვა.

„ლენას“ გამგზავრების წინადღეს მოეწყო უკანასკნელ ათ დღეში ყინულების მესამე ღრმა საჰაერო დაზვერვა. მან ცხადყო, რომ გემის შემდგომი დარჩენა ანტარქტიდის ნაპირებთან დაკავშირებულია ყინულებში ჩარჩენის საფრთხესთან. დევისის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ყინულების ვითარება დღითიდღე უარესდებოდა. გასასვლელი პაკის ყინულების ზონაში, რომლის სიგრძე ალაგ-ალაგ 130 კილომეტრს აღწევს, სწრაფად ვიწროვდებოდა. გახშირებული ძლიერი მოტორების გავლენით ზღვის ყინულებმა დახურეს ერთად ერთი მოხერხებული გასასვლელი ყინულოვანი ზონის ჩრდილო-დასავლეთით.

მკვეთრად გაუარესდა აგრეთვე მდგომარეობა უშუალოდ „ლენას“ დგომის რაიონში. წყლის ტემპერატურის სწრაფმა დაცემამ ახალი ყინულის ინტენსიური წარმოქმნა გამოიწვია. ერთ-ერთი უკანასკნელი ღამის განმავლობაში გემის ქიმთან, სადაც ჯერ კიდევ წინადღით წყალი იყო, ისეთი მყარი ყინულოვანი მინდორი შეიქმნა, რომ იქ სელაპები იწვნენ.

ყინულების დაზვერვის დროს კაპიტანმა ა. ვეტროვმა, კაპიტნის დუბლიორმა ნ. ინიუშკინმა და ექსპედიციის საავიაციო რაზმის უფროსმა საბჭოთა კავშირის გმირმა ი. ჩერევიჩნიმ აღმოაჩინეს გასასვლელი „შეკლტონის ყინულის“ ჩრდილოეთ ნაპირთან. ექსპედიციის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლენა“ უნდა წავიდეს“.

გახსნა რა გამოსათხოვარი მიტინგი, ექსპედიციის უფროსის მოადგილემ ე. გოლუბევმა მადლობა გადაუხადა მშენებლებს და გემის ეკიპაჟს, რომლებმაც ობსერვატორია „მირნის“ დაბის ძირითადი საგებობანი ააშენეს, და მათ ბედნიერი ნაოსნობა უსურვა. სამშობლოში გამგზავრებულთა სახელით გამოვიდნენ გეოლოგიის პროფესორი ო. ვიალოვი, ინჟინერი ნ. როზოვი, ხელმძღვანელი დიზელის ელექტროსადგურის მშენებლობისა, რომელმაც ამ დღეებში პირველი დენი მოგვცა, მეორე ელექტრომექანიკოსი ნ. ბალურინი და სამშენებლო-სამონტაჟო რაზმის უფროსი ვ. სომოვი. ყველა მათ ანტარქტიდის გამმკვლევეთ უსურვეს წარმატება კეთილშობილურ შრომაში მეცნიერებისათვის.

დაბა „მირნის“ სანაპირო ბაზის უფროსი ხ. გრეკუ ამბობს:

— „ლენამ“ ანტარქტიდაში ჩამოიტანა რამდენიმე მუჯა მშობლიური მიწა — სტალინგრადის მიწა. ნება მიბოძეთ ეს მიწა — მშვიდობის, მამაცობისა და გმირობის მიწა შეუერთო „მირნის“ ჯერ კიდევ უნაყოფო და ცივ მიწას.

იგი სამშობლოს მიწას ურევს ანტარქტიდის სილიან ნიადაგს.

მიტინგი დამთავრდა ექსპედიციის უფროსის საბჭოთა კავშირის გმირის მ. სომოვის გამოსვლით. მან მადლობა გადაუხადა „ლენას“ ეკიპაჟსა და მშენებლებს არა მარტო მოზამთრეთა სახელით, რომლებიც ანტარქტიდის მატერიკზე რჩებიან 1957 წლის გაზაფხულამდე, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის სახელითაც შესრულებული სამუშაოსათვის.

„ლენა“ ანტარქტიდის ნაპირებიდან სახელმწიფოთა უმრავლესობის გემებზე მნიშვნელოვნად უფრო გვიან წავიდა. დაიწყო პირველი საბჭოთა გამოზამთრება ანტარქტიდაში.

ანტარქტიდა, „მირნი“,
1956 წლის 18 მარტი.

საკ.ᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ,
Ი. ᲓᲔᲜᲘᲡᲝᲕᲘ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ა. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲐᲮᲡ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲥᲐᲠᲐᲮᲘ, 22 მარტი. (საკ.ᲓᲔᲡᲘ). დღეს [illegible] რესპუბლიკად გამოცხადდა ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲕᲭᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ა. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲛᲮᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

[illegible] კავშირის კომუნისტური [illegible] XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად თბილისის [illegible] ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲘ [illegible] ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗ [illegible] ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗ [illegible] ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗ [illegible]

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲘ

[illegible]

ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲣᲪᲠᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲐᲯᲝᲛᲘ (მოლდავეთის სსრ). (საკ.ᲓᲔᲡᲘ). გასული წლის შემოდგომაზე ხელმძღვანელობის ლოლეურნეობის ბევრმა ახალგაზრდა მეეხოველემ სწავლა დიწყო ზოგადსაგანათლებელ სკოლაში. მაგრამ სამეცადინოდ მათ ცოტა დრო რჩებოდათ — სკოლა ოდენ მანძილით იყო დაცილებული კოლმეურნეობიდან. გათვალისწინებულ რა ეს, დუბროვიცის სამოქალაქო სკოლის კომკავშირელმა მასწავლებლებმა ელენე მორაშანუმ, ლუბოვ სტარაიამ და ელენე პრაილამ გადაწყვიტეს დახმარებოდნენ ახალგაზრდა კოლმეურნეებს. მათ წინადადება წამოაყენეს შეექმნათ კლასები კოლმეურნეობაში და დათანხმდნენ თვითონ ეხელმძღვანელთა მათთვის.

კომკავშირელთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს პარტიისა და კომკავშირის რაიკომებმა. აქ ახლა მოწყობილია მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასები. სწავლა კვირაში ხუთ დღეს წარმოუსს. სკოლა მუშაობს ღამე, როცა მწველელები და პირუტყვის მომვლელნი თავისუფლებია. ამის შედეგად 15 ახალგაზრდა მეცხოველეს საშუალება მიეცა წარმოებას თავისუფლად ეიმაღლოს ზოგადსაგანმანათლებელი დონე.

დუბროვიცელი კომკავშირელების თაოსნობას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის მრავალი სასოფლო სკოლის მასწავლებლებმა.

350 ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

ᲒᲝᲛᲔᲚᲘ. (საკ.ᲓᲔᲡᲘ). გომელის ლენინის სახელობის რკინიგზელთა კულტურის სასახლეში 1.000-მდე ჰაბეცი და ქალიშვილი მონაწილეობდა საუბარში, რომელიც მიძღვნილი იყო თემისადმი: „შენ გმირობისაკენ მოგეწოდება, კომკავშირული ბილეთო“. ეს იყო ერთიერთი ღონისძიება იმ მრავალთაგან, რომლებსაც აქ ატარებენ ახალგაზრდობისათვის. ახალგაზრდობამ მოისმინა ოგრეთვე ლექციები „ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ქცევის კულტურის შესახებ“, „სიყვარული, ქორწინება და ოჯახი სოციალისტურ საზოგადოებაში“, „მეცნიერება და რელიგია სამყაროს შესახებ“.

სერიოზული ყურადღება ექცევა ტექნიკური ცოდნის პროპაგანდას. ლექციების დროს აჩვენებენ კინოფილმებს.

ერთი წლის განმავლობაში კულტურის სასახლემ მოაწყო 350-ზე მეტი ლექცია, რომლებსაც დაესწრო დაახლოებით 100.000 კაცი.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲐᲯᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ

ᲢᲐᲛᲑᲝᲚᲝᲕᲘ, 22 მარტი. (საკ.ᲓᲔᲡᲘ). მორდოვის რაიონის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში ღამე ბანძარი გაჩნდა. ცეცხლი სწრაფად მოედო შენობას. ცხვარი იღუპებოდა. დარაჯმა დ. ლ. ჩერნიშოვმა პირველმა შენობა ხანძარი და გაიქცა ცხვრის გადასარჩენად. იგი შეეფინა ცეცხლმოდებულ შენობაში, მოძებნა ყოჩი და გამოიყვანა ქუჩაში. ყოჩს გამოპყვა მთელი ფარა.

კოლმეურნეობის დარაჯის სიმამაცემ და გამჭრიახობამ გადაარჩინა 1310 ცხვარი და ბატკანი.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ კომკავშირელები და ახალგაზრდობა უფროსების მხარდაჭერით თავდადებით შრომობენ, სერიოზული წელილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მოეწველობისათვის მანქანებისა და მოწყობილობათა დამზადებაში.

ქარხნის ჭაბუკები და ქალიშვილები, ისე როგორც ძველი კოლექტივი, ღირსეულად შეხვედნენ პარტიის XX ყრილობას. ვადაზე ადრე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38 წლისთავისათვის განადგურებულ იქნა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა. წარმატებით დაიწყო მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი. იანვარში სასაკოსლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,8 პროცენტით შესრულდა, ხოლო საერთო პროდუქციისა 104 პროცენტით. ასევე მაღალნაყოფიერად იმრომეს მასქანთმშენებლებმა თებერვალშიც.

სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთან არ არის არცერთი ჩამორჩენილი ახალგაზრდა, ხოლო კომკავშირელთა დიდი ნაწილი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 200-დან 300 პროცენტით ასრულებს.

კომკავშირის კომიტეტი და საამქროთა კომკავშირული ორგანიზაციები, დავალებათა გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობის ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლას, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, რაციონალიზატორულ-საგამომგონებლო მუშაობას, ახალგაზრდობის კვალიფიკაციის ამაღლებას.

ლითონის ჩქაროსნული მეთოდით ჭრას წარმატებით დაეუფლნენ კომკავშირელები და ახალგაზრდები: ჭ. ვამაკიძე, ვ. გორბუნოვი, ბ. ხაბუტრაშვილი, გ. ჯავახაძე, ვ. სმოვსკი და სხვ. კომკავშირული ორგანიზაცია ამაყობს ახალგაზრდა რაციონალიზატორებით, რომელთა შორის გამოირჩევიან ა. ფხაკაძე, ძ. ბაბუნია, ვ. ამბროლაძე და სხვები. მათ მიერ შემოტანილი წინადადებების დანერგვით ქარხანამ გასულ წელს 79.730 მანეთის ეკონომია მიიღო.

ჩვენი ქარხნის კოლექტივის მიერ გამოშვებული უნივერსალური ელექტროტორები, არტეზიული ტუმბოები, სამახტო და საამერო-საბაგირო ვაგონეტები, ლითონკონსტრუქციები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები იგზავნება არა მარტო ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის აუზებში, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც.

ქარხნის ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ ახალი მანქანებისა და მოწყობილობათა ათვისებაში. გასული წლის ბოლოს ათვისებული და გამოშვებული იქნა შახტების ვერტიკალური ჭაურების სწრაფგაყვანი კომბაინი „კს-I“, რომელიც 300 კაცს აცვლის. ამ-ქამად უფროს ამხანაგებთან ერთად ახალგაზრდობა ენერგიულად მუშაობს მეორე სახის ასეთი მანქანის „კს-2“-ის აწყობაზე.

კომკავშირის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მუშა ახალგაზრდობის კადრების ტექნიკური მომზადების საქმეს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 524 ახალგაზრდა მუშამ აიმაღლა საწარმოო კვალიფიკაცია, მეორე და მესამე პროფესიას ეაიუფლა 34 მანქანათმშენებელი. მომზადებულია აგრეთვე 425 ახალი მუშა სპეციალისტი.

საამქროებში, კომკავშირულ ბრიგადებს შორის გაბმული სოციალისტური შეჯიბრება. ალბული ვალდებულების შესრულებაში თავი ისახელეს ამწყობმექანიკური საამქროს კომკავშირული ბრიგადის ხარატებმა ვ. სმოვსკიმ, ჭ. ვამაკიძემ და ი. ჩახუნაშვილმა, საამსბული საამქროს ბრიგადირმა კომკავშირელმა ო. სანებლიძემ, საექსპერიმენტო საამქროს ბრიგადირმა ბ. სიმონიანმა და სხვებმა.

ქარხნის ახალგაზრდობა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებას იღებს წარმოებას მოწყვეტლივ. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 19 ახალგაზრდა, სხვადასხვა ტექნიკუმში — 14, ხოლო ოქრუ ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის საშუალო სკოლებში — 23. მათ ყველა პირობა აქვთ შეექმნილი წარმატებით სწავლისათვის. ქარხნის ახალგაზრდების განარგულებაშია ორსართულიანი ლამაზი შენობა, რომელიც კარგადაა მოწყობილი. საერთო საცხოვრებელს აქვს წითელი კუთხე, სადაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალგაზრდული დარეჯან ყორიაკიდი. აქ ეწყობა ექსკურსიები, კოლექტიური ლაშქრება ენინსურათებზე, ექსკურსიები ქალაქის საწარმოებში, ოგრეთვე შეხვედრა ჩვენი ქალაქის მოწინავე ნოვატორებთან. ორი თვის წინათ მანქანათმშენებლებმა ახალი საჩუქარი — 38-ბინიანი საცხოვრებელი სახლი მიიღეს. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ჩვენს ახალგაზრდობაში ფართოდაა გაშლილი ფიზკულტურულ-სპორტული აუშაობა. აქაურმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა ამასწინათ მიიღო სპორტული დარბაზი, საჭირო ინვენტარით და მოწყობილობებით, რამაც გამოიწვია ფიზკულტურული მუშაობის ახალი ძალით გაჩაღება. დამატებით შეიქმნა სპორტული წრეები და სექციები. ამჟამად ქარხანაში 11 სექციაა მუშაობს, მომდინარე წელს ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი მთელი ენერგიით იბრძოლებს ქალაქის სპარტაკიადაში საპატიო ადგილის მოპოვებისათვის.

ქარხნის ახალგაზრდობა მხურვალე მოწონებით შეხვდა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ქუთაისელმა მანქანათმშენებლებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის, ოგრეთვე თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდებას მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

გაეცვნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, მანქანათმშენებლებმა პირობა დადეს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან კომუნისტური პარტიის გარშემო, ვალდებულება აიღეს 1956 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ დეკემბრის მეორე დეკადისათვის. პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 1.5 პროცენტით, გასული წელთან შედარებით გაზარდონ შრომისნაყოფიერება 16 პროცენტით.

ქარხნის კომკავშირელები და ახალგაზრდობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ პირნათლად და გადაჭარბებით შეასრულოს ჩვენი საყვარელი პარტიის მიერ დასახული ამოცანები.

Ნ. ᲡᲐᲜᲘᲫᲘᲫᲔ.

ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲙᲣᲠᲒᲐᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ. ᲛᲫᲘᲛᲐᲠᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲗᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲚᲔᲕᲐᲢᲝᲠᲘ. ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲗ ᲓᲐᲛᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ

ხალხები მოითხოვენ განიარაღების საკითხის გადაჭრას * *მთელს მსოფლიოში მშვიდობისათვის!* * ამერიკის „სამხედრო დახმარების“ გეგმები * ამერიკის შეერთებული შტატები წარუმატებლობას განიცდიან აზიაში * ახალგაზრდობის ცხოვრება საზღვარგარეთ

19 მარტს ინგლისის დედაქალაქ ლონდონში განახლდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომები. ქვეკომიტეტის მუშაობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და კანადის წარმომადგენლები. პირველი სხდომის გახსნისას ინგლისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ნატინგმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს განიარაღების საკითხის გადაჭრას სხვა გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოგვარებისათვის.

ქვეკომიტეტის სხდომების განახლებას, როგორც ცნობილია, წინ უსწრებდა განიარაღების საკითხზე წერილების გაცვლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს შორის. ნ. ა. ბულგანინმა თავის წერილებში ხაზი გაუსვა განიარაღების საკითხის გადაწყვეტის უდიდეს აუცილებლობას და მიუთითა ამის მისაღწევ პრაქტიკულ გზებზე. ამერიკის პრეზიდენტმა 1 მარტით დათარიღებულ წერილში იმედი გამოთქვა, რომ განიარაღების ქვეკომიტეტის სხდომები საშუალებას მოგვცემენ „მივაღწიოთ ნამდვილ წინსვლას“. მაგრამ ამერიკის პრესამ ეიზენჰაუერის წერილი შეაფასა, როგორც „სიტყვიერი ბრძოლის გამოვლინება“. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების წარმომადგენლებს, — წერს გაზეთი „პოსტ დისპეტჩერი“, — მიაჩნიათ, რომ მათთვის უფრო მნიშვნელოვანია შეიარაღებული ძალები იყოლიონ „ახლანდელ დონეზე, დაახლოებით 3 მილიონი კაცის რაოდენობით“, ვიდრე მიაღწიონ სხვა სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების შემცირებას.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის წინააღმდეგ გამოდიან ყველა ქვეყნის ხალხები და გადაჭრით მოითხოვენ დადებითად გადაწყდეს განიარაღების საკითხი. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ გამოაქვეყნა მიმართვა, რათა ჩატარდეს კამპანია განიარაღების იდეის მხარდაჭერისათვის. ამ მოწოდებას ყველგან მხურვალედ შეხვდნენ.

• • •

დამასკის, ისე როგორც მთელი სირიის, მოსახლეობამ აღნიშნა მნიშვნელოვანი მოვლენა — 17 მარტს ამ ქვეყნის გამოჩენილ საზოგადოებრივ მოღვაწეს, მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს შეიხ მუჰამედ ალ-აშმარს გადაეცა საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“. პრემიის საზეიმო გადაცემას აგრეთვე დაესწრნენ სირიის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, აგრეთვე ლიბანის, იორდანიის, ერაყის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენლები.

შეიხ ალ-აშმარმა, მიიღო რა საერთაშორისო პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სირიელ ხალხს, ისე როგორც სხვა არაბ ხალხებს, რომლებიც ნამდვილი განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში იმყოფებიან, მხურვალედ სურთ მშვიდობის განმტკიცება მთელს მსოფლიოში.

საკდესის დეპეშების მიმოხილვა

• • •

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი გაგზავნილ მიმართვაში ამერიკის პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა წინადადება წამოაყენა მორიგ საბიუჯეტო წელს, რომელიც იწყება 1956 წლის 1 ივლისს, 5 მილიარდი დოლარი ასიგნებულ იქნეს „საზღვარგარეთ ამერიკის შეერთებული შტატების ოპერაციებისათვის“. ამ თანხის დიდი ნაწილი დაგეგმილია ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა შეიარაღებისათვის, ე. ი. საომარი მზადების გასაძლიერებლად ევროპის, აზიის, ამერიკის იმ ქვეყნებში, რომლებიც მონაწილეობენ შეერთებული შტატების მოთხოვნით ორგანიზებულ სამხედრო ბლოკებში.

• • •

ამასწინათ კარაჩში ჩატარებული „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისათვის სამხედრო ბლოკის“ (სეატო) საბჭოს სესიის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა იმოგზაურა ამ რაიონის მთელ რიგ ქვეყნებში. მოგზაურობის მიზანი იყო აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოზიციის განმტკიცება.

მაგრამ, როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს იუნაიტედ პრესის ტოკიოელი კორესპონდენტი აღნიშნავს, აზიის ქვეყნებში სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება უკმაყოფილება ამერიკის პოლიტიკისადმი. „ამერიკის შეერთებული შტატები წარუმატებლობას განიცდიან აზიაში“, — წერს კორესპონდენტი და დასძენს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას აკრიტიკებენ ამერიკის ისეთი „მოკავშირეებიც“ კი, როგორიცაა ტაილანდი, ფილიპინები და იაპონია. ყოველივე ამას კორესპონდენტი დასკვნამდე მიჰყავს: აზიის ქვეყნებს სურთ იყვნენ თავისუფალნი, დამოუკიდებელნი და სულ უფრო უარყოფით დამოკიდებულებას იჩენენ ამერიკული „დახმარებისადმი“.

• • •

ბერლინში გაიმართა ახალგაზრდობის მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის დასავლეთ გერმანიის ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი მოღვაწე ვ. ზეიფერტი, რომელიც ამასწინათ გამოიქცა დასავლეთ გერმანიის ერთერთი ციხიდან. ვ. ზეიფერტმა გერმანელ ახალგაზრდობას მოუწოდა გააძლიეროს საპროტესტო გამოსვლები დასავლეთ გერმანიაში ახალგაზრდა გერმანელი პატრიოტების დევნის წინააღმდეგ.

20-21 მარტს პრაღაში მიმდინარეობდა კონფერენცია ახალგაზრდული ბრიგადების საუკეთესო მუშაკებისა, რომლებიც მიმდინარე წლის დასაწყისში ყამირი მიწების ასათვისებლად გაემგზავრნენ.

კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდა 700-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი, მოხსენებით გამოვიდა სახელმწიფო მეურნეობათა მინისტრის მოადგილე ფ. კორდი.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი.



ინდონეზია. კაუჩუკის პლანტაციების მუშათა ხაცხოვრებელი სახლები ჯავაში.